



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო  
ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს  
სატენდერო დოკუმენტაცია  
2013 წელი  
**CPV - 50711000**

შენობის ელექტრო მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური  
მომსახურების შესყიდვა

ბამარტივებული ელექტრონული ტენდერი

ქ.თბილისი დიდის მასივი 2 კვ, პ. ჩალაძის ქ №1.

## 1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში-სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თაემჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 ელექტრონულ ტენდერთან/გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში-სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (მინდობილობის არსებობის შემთხვევაში აღნიშნული დოკუმენტი ატვირთული უნდა იქნეს სისტემაში)

1.4 ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.5 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის და განმარტებებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს: მაია ჩადუნელი 241-42-74; თამარ მღებრიშვილი 241-40-89; ქ. თბილისი დიდმის მასივი 2 კვ. კ. ჩალაძის ქ.№1.

## 2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1 პრეტენდენტის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტებს და ინფორმაციას:

2.1.1 ტექნიკური პირობები „დანართი N1“;

2.1.2 მომსახურების პრეისკურანტი „დანართი N2“ (იმ შემთხვევაში თუ პრეისკურანტი არასრულად იქნება შევსებული ან არ იქნება წარმოდგენილი მოხდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია);

2.1.3 ორგანიზაციის რეკვიზიტები, ფიზიკური პირის შემთხვევაში პირადობის მოწმობის ასლი „დანართი N3“.

## 3. სატენდერო წინადადების ფასი

3.1 სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახულ უნდა იყოს: საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის გათვალისწინებით.

3.2 სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია: მხოლოდ ლარში.

## 4. ანგარიშსწორების პირობები

4.1 ანგარიშსწორება განხორციელდება, ეტაპობრივად ფაქტიურად გაწეულ მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების აქტის და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი არ არის დღგ–ს გადამხდელი, მის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან) წარმოდგენის შემდეგ, ყველა დოკუმენტი ხელმოწერილი უნდა იყოს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

4.2 ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო.

შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობები

შესყიდვის ობიექტის დასახელება	მომსახურების გაწევის ადგილი	მომსახურების გაწევის ვადა	საგარანტიო ვადა
შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს და მისი ტერიტორიული დანაყოფების ადმინისტრაციულ შენობებზე განთავსებული გასანათებელი ასოებისა და გერბების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება	ქ. თბილისი	ხელშეკრულების გაფორმებიდან ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად. 2013 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით	არანაკლებ 1 (ერთი) წელი

მომსახურების პრეისკურანტი

N	გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი	განზომილება	ერთეულის სავარაუდო ფასი (ლარი)
1	დიოდური ნათების ლენტი შეცვლით	გრ. მეტრი	15
2	ტრანსფორმატორი შეცვლით 60 ვატი	ცალი	80
3	ტრანსფორმატორი შეცვლით 80 ვატი	ცალი	100
4	კაბელი შეცვლით	გრ. მეტრი	1.5
5	სენსორი (ფოტო რელე) შეცვლით 15 ამპერი	ცალი	60
6	გამოძახების (მომსახურება) ღირებულება	ობიექტი	49.5
სულ პრეისკურანტის სავარაუდო ჯამური ღირებულება:			306

შენიშვნა:

- პრეტენდენტის მიერ შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარმოდგენილ მომსახურების პრეისკურანტში მითითებული ერთეულის ფასები არ უნდა აღემატებოდეს შემსყიდველის მიერ მომსახურების პრეისკურანტის შესაბამის გრაფაში მითითებულ ერთეულის სავარაუდო ფასებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.
- პრეტენდენტმა ელექტრონული ვაჭრობა უნდა განახორციელოს პრეისკურანტის სავარაუდო ჯამურ ღირებულებაზე.
- პრეტენდენტის მიერ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად პრეისკურანტის საერთო ფასის შემცირების შემთხვევაში, ფასთა კლება პროცენტულად და პროპორციულად უნდა აისახოს პრეისკურანტის მოცემული ჩამონათვალის ერთეულის ფასებზე, თუ ერთეულის ფასები დაჯდება მრავალნიშნა ათწილადად, პრეტენდენტი ვალდებულია აღნიშნული ფასები შეამციროს და დაამრგვალოს მესამე, შესაბამისად შეამციროს პრეისკურანტის ჯამური ღირებულებაც.



## 5. მომსახურების გაწევის პირობები

5.1. მომსახურება უნდა განხორციელდეს-----

5.2 მომსახურების განხორციელებისას პრეისკურანტში არარსებული მომსახურების საჭიროების შემთხვევაში მომსახურების ფასი ღვინდება მხარეთა შორის შეთანხმების საფუძველზე საბაზრო ფასის გათვალისწინებით.

5.3. ანაზღაურება განხორციელდება შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი ფაქტიურად გაწეული მომსახურების რაოდენობის შესაბამისად, მომსახურების ერთეულის ფასის გათვალისწინებით.

5.4 მომსახურება გაწეული უნდა იყოს მაღალხარისხოვნად, აღნიშნულ სფეროში ასეული წესებისა და ნორმების დაცვით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

5.5 თუ მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულებამ შეადგინა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ჯამურ ღირებულებაზე ნაკლები შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს მის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულებას ერთეულის ფასის გათვალისწინებით, შესაბამისად მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გაუჩნდეს აუთვისებელი მომსახურების ღირებულებაზე.

## 6. შუსქიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მომსახურება ან მისი ნაწილი (ეტაპი) შესრულებულად ჩაითვლება ფაქტიურად გაწეული მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების აქტის და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, ყველა დოკუმენტი ხელმოწერილი უნდა იყოს შემსყიდველისა და მიმწოდებლის მხრიდან გამოყოფილი უფლებამოსილი წარმომადგენლ(ებ)ის მიერ.

## 7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

7.2. ანგარიშსწორების ფორმა უნაღდო. მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე გადარიცხვით.

7.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად ფაქტიურად გაწეულ მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების აქტის და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 20 საბანკო დღის განმავლობაში, ყველა დოკუმენტი ხელმოწერილი უნდა იყოს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლ(ებ)ის მიერ.

7.4 ანგარიშსწორების ადგილი: ქ.თბილისი.

## 8. ხარისხი და ბარანტია

8.3 მიმწოდებელი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხზე, მათ შორის მთელი საგარანტიო ვადის განმავლობაში, რომელიც შეადგენს — ველს და აითვლება მხარეთა მიერ ფაქტიურად გაწეულ მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან. საგარანტიო პერიოდში წარმოქმნილი დეფექტების აღმოფხვრას შეკეთებას ან შეცვლას ახლით საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი. საგარანტიო პერიოდში გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრა ყოველი კონკრეტული დეფექტის გამოვლენისას უნდა განხორციელდეს გონივრულ ვადაში. ურთიერთშეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში გონივრულ ვადას განსაზღვრავს შემსყიდველი, რის შესახებაც მიმწოდებელს უნდა ეცნობოს წერილობით. დეფექტის აღმოფხვრის ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დეფექტური მომსახურების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.

## 9. ხელშეკრულების გადასინჯვა და ცვლილებების შეტანა

9.1 არანაირი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით ან/და ზეპირად შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

9.3 წინამდებარე ხელშეკრულების ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი

ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება/დამატება უნდა გაფორმდეს წერილობით ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ხელმოწერილი იქნება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ და ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

### 10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2 შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დააკისროს ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით და შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.3 შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლის მხრიდან მომსახურების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე გაუწვევლი მომსახურების ღირებულების 0.2 %-ის ოდენობით.

10.4 საჯარო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

### 11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარო სანქციების გამოყენებას თუ ვალდებულების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელთა გათვალისწინებაც შეუძლებელი იქნებოდა წინასწარ. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოიწვიოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

### 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს 2013 წ. \_\_\_\_\_ ჩათვლით.

12.2 წინამდებარე ხელშეკრულების ის მუხლები, რომლებიც აწესრიგებს პირგასამტეხლოსთან დაკავშირებულ საკითხებს, მოქმედებენ მხარეთათვის განსაზღვრული შესაბამისი ვალდებულების სრულ შესრულებამდე.

### 13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტა დასაშვებია მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

13.2 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს) ხელშეკრულების პირობების შესრულებას.

13.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.4 ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ

უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13.6 შემსყიდველი ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღებისას ვალდებულია შეატყობინოს მიმწოდებელს მიღებული გადაწყვეტილება და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მიმწოდებელს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.

13.7 ამ მუხლის მე-13.5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს წუნის გარეშე მიღებული ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

#### 14. სხვა პირობები

14.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზე, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი ურთიერთმოლაპარაკების მეშვეობით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ. უთანხმოების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეებს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლიათ მიმართონ საქართველოს საერთო სასამართლოს.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

14.5 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლის და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

14.6 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.7 წერილობითი შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან, რომელი უფრო გვიან დგება.

14.8 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, იდენტური შინაარსის 3 ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, ორი ეგზემპლიარი რჩება შემსყიდველთან, ერთი მიმწოდებელთან.

14.9 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება/დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

- პრეტენდენტის იურიდიული ფირმის დასახელება:
- ხელმძღვანელის სახელი და გვარი:
- პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:
- ბანკის დასახელება:
- საიდენტიფიკაციო კოდი:
- ბანკის კოდი:
- ანგარიშის ნომერი:
- პრეტენდენტის ტელეფონის ნომრები:
- ელექტრონული მისამართი:

ხელმოწერა და ბეჭედი

---

---